# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N 49

ქ. მცხეთა 13 დეკემბერი 2016 წელი

ერთის მხრივ, ა(ა)იპ „ინვესტიციების და ჰუმანიტარული პროექტების გაერთიანება" შემდგომში „შემსყიდველი", გენერალური დირექტორის გიორგი ატაშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს „საჭაშნიკე" შემდგომში „მიმწოდებელი", დირექტორის ჯუმბერ ტოგონიძის სახით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია ევროკავშირის მონიტორინგის მისიის სტუმრების სადილით მომსახურება. (CPV:55300000). (წარმომადგენლობითი ხარჯი)

## 2. მომსახურების მიწოდების ვადა და ღირებულება

2.1 მომსახურების გაწევის თარიღია 2016 წლის 13 დეკემბერი.

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა 420 (ოთხას ოცი) ლარი.

## 3. ანგარიშწსორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში

## 4. მხარეთა უფლება–მოვალეობები

4.1 „მიმწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას:

4.1.1 უზრუნველყოს სტუმრების სადილით მომსახურება.

4.2 „შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას:

4.2.2 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით.

## 5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ „მიმწოდებელი" არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი" წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს" უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.

5.3 მომსახურების არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი" უფლებამოსილია „მიმწოდებელს" არ აუნაზღაუროს გასაწევი მომსახურების ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო მთიანი მომსახურების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

## 6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

## 7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

7.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 8. ფორს–მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

## 9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

9.2 თუ „მიმწოდებელი'' და „შემსყიდველი'' მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 10. სხვა პირობები

10.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

10.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.

10.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

## 11.ხელშეკრულების პირობების კონტროლი

11.1 ხელშეკრულების პირობების კონტროლს განახორციელებს ა(ა)იპ ,,ინვესტიციების და ჰუმანიტარული პროექტების გაერთიანების" გენერალური დირექტორი გიორგი ატაშვილი.

## 12.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

## 13. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"

ა(ა)იპ ,,ინვესტიციებისა და ჰუმანიტარული პროექტების გაერთიანება"
ს/კ 436036610
ბანკი :ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი: TRESGE22
მის: ქ.მცხეთა,აღმაშენებლის №99,ბ8

გაერთიანების გენერალური დირექტორი

გ. ატაშვილი

„მიმწოდებელი"

შპს ,,საჭაშნიკე"

ს/კ: 236033092
სს ,,ლიბერთი ბანკი"
ბანკის კოდი: LBRTGE22
მის: მცხეთა, სოფ. მუხათგვერდი
ა/ა GE81LB0113158702237001

დირექტორი

ჯ. ტოგონიძე

ა ნ გ ა რ ი შ - ფ ა ქ ტ უ რ ა (ინვოისი) № 111

გაწეულ მომსახურებაზე (შესრულებულ სამუშაოზე)

"13" დეკემბერი 2016 წ.

გამყიდველი: 2 3 6 0 3 3 0 9 2
საიდენტიფიკაციო ნომერი

მყიდველი: 4 3 6 0 3 6 6 1 0
საიდენტიფიკაციო ნომერი

დასახელება: შპს "საჭაშნიკე"

დასახელება: ააიპ "ინვესტიციების და ჰუმანიტარული პროექტების გაერ

მისამართი: მცხეთა სოფელი მუხათგვერდი

მისამართი: ქ. მცხეთა დ. აღმაშენებლის 99

ტელეფონი:

ტელეფონი:

საბანკო რეკვიზიტები: ლიბერთი ბანკი მცხეთის გან-ბა
LBRTGE22 GE81LB0113158702237001

| № | გაწეული მომსახურების ან შესრულებული სამუშაოს დასახელება | თ ა ნ ხ ა (ლარი) |
|---|---|---|
| 1 | მომსახურეობა | 420.00 |
| 2 | | - |
| 3 | | - |
| 4 | | - |
| | ს უ ლ ასანაზღაურებელია: | 420.00 |

ასანაზღაურებელი თანხა სიტყვებით: ოთხასოცი ლარი 00 თეთრი

გაყიდვის პირობები: უნაღდო ანგარიშსწორება

ხელმძღვანელი ________

ბუღალტერი ________

მყიდველს ჩაბარდა ხელზე (ხელმოწერა)

მყიდველს გაეგზავნა ფოსტით (ხელმოწერა)

შენიშვნა: "გამყიდველი" არ წარმოადგენს დღგ-ის გადამხდელს.